COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2003 წლის 27 ნოემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

დასკვნა #4 (2003)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ

ეროვნულ და ევროპულ დონეზე მოსამართლეთა ჯეროვანი პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების შესახებ

შესავალი

1. ისეთ რეალობაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა მზარდი ყურადღების ცენტრშია, რაც ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე ინსტიტუციების დემოკრატიული ფუნქციონირების საბოლოო გარანტორად ითვლება, უკიდურესად მნიშვნელოვანია მომავალ მოსამართლეთა მომზადების საკითხის მოგვარება მანამ, სანამ ისინი თავიანთი მოვალეობების შესრულებას შეუდგებიან, და მათი ადგილზე გადამზადების საკითხი (იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N1 (2001), პუნქტები 10-13 და დასკვნა N3 (2002), პუნქტები 25 და 50.ix).

2. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა გარკვეულ უფლებებს ანიჭებს მოსამართლეებს ყველა დონეზე და ყველა იურისდიქციაში, მაგრამ გარკვეულ ეთიკურ მოვალეობებსაც აკისრებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს სამოსამართლო საქმის პროფესიონალურად და გულმოდგინედ შესრულებას, რისთვისაც საჭიროა პროფესიული უნარების შეძენა და განვითარება სწავლებისა და გადამზადების მეშვეობით, რომლის გავლაც მათი მოვალეობაცაა და უფლებაც.

3. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სრული იურიდიული განათლების დასრულების შემდეგ შერჩეული მოსამართლეები გადიოდნენ დეტალურ, ღრმა, მრავალმხრივ ტრენინგს, რათა შეძლონ თავიანთი მოვალეობების დამაკმაყოფილებლად შესრულება.

4. ამგვარი ტრენინგი ასევე წარმოადგენს მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიას ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

5. და ბოლოს, სწავლება არის იმის წინაპირობა, რომ სასამართლო ხელისუფლებას პატივს სცემდნენ და ის იმსახურებდეს პატივისცემას. მოქალაქეების ნდობა სასამართლო სისტემისადმი უფრო განმტკიცდება, თუ მოსამართლეებს ექნებათ ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, რომელიც სცდება სამართლის ტექნიკურ სფეროს და ეხება მნიშვნელოვან სოციალურ თემებს ისევე, როგორც სასამართლო დარბაზსა და პიროვნულ უნარ-ჩვევებსა, და ცოდნას, რაც მათ აძლევს საქმეების მართვისა და შესაბამის პირებთან ურთიერთობების სათანადოდ და დელიკატურად წარმართვის საშუალებას. მოკლედ რომ ითქვას, ტრენინგი მნიშვნელოვანია სამოსამართლო ფუნქციების ობიექტურად, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად შესრულებისა, და მოსამართლეთა არასათანადო ზეგავლენისგან დაცვის თვალსაზრისით.

6. მოსამართლეთა პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ევროპის ქვეყნებში. ეს განსხვავებები ნაწილობრივ შეიძლება გამომდინარეობდეს სასამართლო სისტემების განსხვავებულობებიდან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა სულაც არ იყოს აუცილებელი ან გარდაუვალი. ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრებულია მეტად ხანგრძლივი ფორმალური ტრენინგების ჩატარება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომელსაც მოჰყვება შემდგომი დონის ინტენსიური ტრენინგი. ზოგგან კი, დანერგილია პრაქტიკული სწავლება/სტაჟირება გამოცდილი მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც თავის ცოდნასა და პროფესიულ რჩევებს გადასცემს კონკრეტული მაგალითების გამოყენებით, ასწავლის, თუ რა მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული და არ ჰქონდეს ადგილი რაიმე სახის დიდაქტიზმს. საერთო სამართლის ქვეყნები დიდწილად ეყრდნობიან ხანგრძლივ პროფესიულ გამოცდილებას, როგორც წესი

ადვოკატების მსგავსს. ამ შესაძლებლობებს შორის არსებობენ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ტრენინგების ორგანიზებულობა და სავალდებულობა სხვადასხვა დონეზეა.

7. ეროვნული ინსტიტუციონალური სისტემების მრავალფეროვნებისა და კონკრეტული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პრობლემების მიუხედავად, ტრენინგი უნდა ითვლებოდეს მნიშვნელოვან ფაქტორად არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროს საჯარო სამსახურში მომუშავეთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესების, არამედ ასევე ამ სამსახურის სწორად ფუნქციონირების საჭიროების თვალსაზრისით.

8. მოსამართლეთა სწავლებისა და გადამზადების მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა გაეროს 1985 წლის ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის თაობაზე, და ევროპის საბჭოს მიერ 1994 წელს (რეკომენდაცია N R (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ) და 1998 წელს მიღებული (ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ) დოკუმენტები და მათ შესახებ აღნიშნულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 1-ლი დასკვნის მე-11 პუნქტში.

I. <u>ტრენინგების გავლის უფლება და სამართლებრივი დონე, რომელზეც ეს უფლება უნდა იქნეს გარანტირებული</u>

9. კონსტიტუციური პრინციპები უნდა უზრუნველყოფდნენ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რასაც ეფუძნება მოსამართლეთა ლეგიტიმურობა, ხოლო მოსამართლებმა, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყონ მათი მაღალი დონის პროფესიონალური კომპეტენტურობა (იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-3 დასკვნის პუნქტი 50 (ix)).

10. ბევრ ქვეყანაში მოსამართლეთა სწავლება/გადამზადება რეგულირდება სპეციალური წესებით. მთავარია, რომ ტრენინგების საჭიროება მოსამართლეთა სტატუსის მარეგულირებელ წესებში იყოს ასახული; სამართლებრივ წესებში არ უნდა იყოს მოცემული ტრენინგის დეტალური შინაარსი, ეს ფუნქცია უნდა დაევალოს სპეციალურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე, ტრენინგის ჩატარებასა და პროცესის ზედამხედველობაზე.

11. სახელმწიფოს ვალდებულებაა, საჭირო საშუალებებით უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლება ან სხვა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ტრენინგების ორგანიზებასა და ზედამხედველობაზე, და აანაზღაუროს მოსამართლეთა და სხვა მონაწილე პირთა მიერ გაწეული ხარჯები.

12. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, რომ თითოეულ ქვეყანაში მოსამართლეთა სტატუსის მარეგულირებელ კანონმდებლობაში გაიწეროს მოსამართლეთა სწავლება/გადამზადების საკითხი.

<u>II. ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო</u>

13. მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპულ ქარტიაში (პუნქტი 2.3) ნათქვამია, რომ ნებისმიერი ორგანო, რომელსაც ევალება სასწავლო პროგრამების ხარისხის კონტროლი, დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და მისი წევრების მინიმუმ ნახევარს უნდა წარმოადგენდნენ მოსამართლეები. განმარტებით

ბარათშიც აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა ტრენინგი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ტექნიკური იურიდიული ტრენინგებით, არამედ ის გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ სასამართლო ორგანოს ბუნებიდან გამომდინარე, მოსამართლეს ხშირად უწევს რთულ და კომპლექსურ სიტუაციებში ჩარევა.

14. ზემოაღნიშნული ხაზს უსვამს ტრენინგების ჩატარებასა და მათი სასწავლო პროგრამების შედგენაზე პასუხისმგებელი ორგანოს დამოუკიდებლობისა და შემადგენლობის უდიდეს მნიშვნელობას. ეს კი გამომდინარეობს სასამართლოს დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპიდან.

15. ტრენინგი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და ამიტომაც, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს იმ ორგანოს დამოუკიდებლობა, რომელსაც ევალება სასწავლო კურსის პროგრამების შედგენა და კონკრეტული სასწავლო კურსის ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღება.

16. სასამართლო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ან თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა ტრენინგის ორგანიზებასა და ზედამხედველობაზე. აქედან გამომდინარე და მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტიის რეკომენდაციების შესაბამისად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ ყოველ სახელმწიფოში ეს ფუნქციები უნდა დაევალოს არა იუსტიციის სამინისტროს ან სხვა ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, არამედ თვითონ სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს (მათ შორის, მართლმსაჯულების კომისიას). მოსამართლეთა გაერთიანებებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ტრენინგების ხელშეწყობასა და ორგანიზებაში პირდაპირ პასუხისმგებელ სასამართლო ან სხვა ორგანოებთან ერთად.

17. ფუნქციების სწორად განაწილების უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება იგივე ორგანო იყოს პირდაპირ პასუხისმგებელი მოსამართლეთა სწავლებაზეც და დისციპლინაზეც. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, რომ სასამართლო ხელისუფლების ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში ტრენინგის ჩატარება დაევალოს სპეციალურ ავტონომიურ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ბიუჯეტი და მოსამართლეებთან კონსულტაციების მეშვეობით შეუძლია შეიმუშაოს სასწავლო პროგრამები და უზრუნველყოს მათი განხორციელება.

18. არ შეიძლება ტრენინგებზე პასუხისმგებელი ორგანოები იყვნენ პირდაპირ პასუხისმგებელი მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებაზე. თუ იმ ორგანოს (ანუ მართლმსაჯულების კომისიას), რომელიც აღნიშნულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 1-ლი დასკვნის 73 (3), 37 და 45 პუნქტებში, კომპეტენციაში შედის სწავლება და დანიშვნა ან დაწინაურება, უნდა მოხდეს ამ საქმიანობებზე პასუხისმგებელი მისი სტრუქტურული ერთეულების ნათლად გამიჯვნა.

19. დაწესებულების არაადეკვატური გარე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელი პირები და ტრენერები ინიშნებოდნენ სასამართლო ხელისუფლების ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელსაც ევალება ტრენინგის ორგანიზება და სწავლების პროცესის ზედამხედველობა.

20. მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგს ატარებდნენ მოსამართლეები და კონკრეტული დარგის სპეციალისტები. ტრენერების შერჩევა უნდა მოხდეს თავიანთ პროფესიაში საუკეთესო ექსპერტებს შორის და შერჩევას უნდა ახორციელებდეს ტრენინგებზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც მხედველობაში მიიღებს ტრენერების ცოდნას სასწავლო თემებისა და მათ პედაგოგიურ უნარებს.

21. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეებს ევალებათ სასწავლო საქმიანობა, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ ამ მოსამართლეებს კავშირი ჰქონდეთ სასამართლო პრაქტიკასთან.

22. ტრენინგის მეთოდების შემუშავებასა და გადახედვას უნდა ახორციელებდეს სასწავლო ორგანო; ტრენერებისთვის უნდა იმართებოდეს რეგულარული შეხვედრები, რაც მათ მისცემს ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებისა და თავიანთი მიდგომის განმტკიცების საშუალებას.

III. მოსამზადებელი სასწავლო კურსები

ა. სავალდებულო უნდა იყოს თუ არა ტრენინგი?

23. მაშინ, როდესაც მოსამართლეებისთვის, რომლებსაც თავიანთი პროფესიული კარიერის დასაწყისშივე ნიშნავენ თანამდებობაზე, სავალდებულოა გაიარონ ტრენინგი სადავოა, არის თუ არა ეს აუცილებელი, თუკი მათ საუკეთესო და გამოცდილი იურისტების რიგებიდან ირჩევენ, (მაგალითად) საერთო სამართლის ქვეყნების მსგავსად.

24. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, ორივე ჯგუფმა უნდა გაიაროს პირველადი მომზადების კურსები: სამოსამართლო მოვალეობების შესრულება ორივე ჯგუფისთვის ახალი პროფესიაა და ბევრ საკითხში განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, კერძოდ კი, მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის, პროცედურის და სასამართლო საქმისწარმოებაში მონაწილე პირებთან ურთიერთობების მხრივ.

25. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული სამსახურში დაქირავებასთან დაკავშირებულისხვადასხვა სპეციფიკა, რათა სწორად მოხდეს სასწავლო პროგრამების დაგეგმვა და ადაპტირება: გამოცდილ იურისტებს ტრენინგები სჭირდებათმხოლოდ იმ საკითხებში, რასაც მოითხოვს მათი ახალი პროფესია. ზოგიერთ ძალიან მცირე სასამართლო სისტემის მქონე პატარა ქვეყანაში ადგილობრივი ტრენინგის შესაძლებლობები შეზღუდული და არაფორმალური შეიძლება იყოს, მაგრამ ამ ქვეყნებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვა ქვეყნებთან ერთობლივი ტრენინგების შესაძლებლობებით.

26. შესაბამისად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, რომ ტრენინგები სავალდებულო პირველადი მომზადების პროგრამებით ჩაუტარდეთ ახალდანიშნულ მოსამართლეებს პროფესიული გამოცდილებისდა მიხედვით.

ბ. მოსამზადებელი სასწავლო კურსის პროგრამა

27. პირველადი მომზადების სასწავლო გეგმა და ტრენინგის ინტენსიურობა დამოკიდებულია მოსამართლეთა სამსახურში აყვანის მეთოდზე. ტრენინგი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ მოსამართლეთა მიერ საქმეების განხილვის მეთოდების ინსტრუქტაჟს, არამედ უნდა ითვალისწინებდეს სოციალური ინფორმირებულობისა და მრავალმხრივი ცოდნის საჭიროებასაც სხვადასხვა თემებზე, რომლებიც ასახავს საზოგადოების

ცხოვრებისეულ სირთულეებს. ამასთანავე, საზღვრების გახსნა გულისხმობს, რომ მომავალი მოსამართლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი ევროპელი მოსამართლეები არიან და უკეთ იცნობდნენ ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ საკითხებს.

28. ევროპაში მოსამართლეთა სწავლება/გადამზადების არსებული მრავალფეროვანი სისტემების გათვალისწინებით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაცია შემდეგში მდგომარეობს:
i. სამოსამართლო თანამდებობებზე ყველა ახლად დანიშნული პირი მანამ, სანამ შეუდგება თავისი მოვალეობების შესრულებას უნდა ფლობდეს ან იძენდეს მრავალმხრივ ცოდნას არსებითი ეროვნული და საერთაშორისო კანონებისა, და პროცედურების შესახებ;
ii. მოსამართლის პროფესიის შესრულებისთვის აუცილებელ კონკრეტულ სასწავლო პროგრამებზე გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ის დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია სწავლებაზე და ტრენერები, და თვით მოსამართლეები;
iii. ეს თეორიული და პრაქტიკული პროგრამები არ უნდა შემოიფარგლებოდეს წმინდად სამართლებრივ სფეროებში გამოყენებული მეთოდიკებით, არამედ მოიცავდეს ტრენინგებს ეთიკის საკითხებზე და შესავალს სამოსამართლო საქმიანობის მომიჯნავე სხვა დარგებში, როგორიცაა საქმეების მართვა და სასამართლოების ადმინისტრირება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენები, სოციალური მეცნიერებები და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები (ADR);
iv. ტრენინგი პლურალისტური უნდა იყოს მოსამართლის ფართო აზროვნების უზრუნველყოფის და განმტკიცების მიზნით;
v. ტრენინგის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს უკვე არსებული პროფესიული გამოცდილების და სამუშაო სტაჟის მიხედვით, , რათა მან არ მიიღოს წმინდად ფორმალური ხასიათი.

29. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, რომ სხვადასხვა იურიდიული და სამოსამართლო პროფესიებისთვის დაინერგოს ტიპური ხანგრძლივობის ტრენინგების პრაქტიკა (მაგ., ადვოკატები და პროკურორები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ასრულებენ მოსამართლეებისგან განსხვავებულ მოვალეობებს). ასეთი პრაქტიკა, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს მოსამართლეებსა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგებას და ცოდნის მაღალ დონეს.

30. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო იმასაც აღნიშნავს, რომ პროფესიული გამოცდილება ბევრ ქვეყანაში სამოსამართლო თანამდებობებზე დანიშვნის წინაპირობაა,. მართალია, ასეთი მოდელის დანერგვა ყველგან არ არის შესაძლებელი და სამსახურში აყვანის სხვადასხვა მეთოდების კომბინირებული სისტემის შემოღებასაც შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა სხვადასხვა განათლების და გამოცდილების მქონე მოსამართლეების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, მაინც მნიშვნელოვანია, რომ პირველადი მომზადების კურსის ხანგრძლივობა მოიცავდეს, პირდაპირ უნივერსიტეტიდან მოსული კანდიდატების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ხანგრძლივობის ტრენინგს პროფესიულ გარემოში (საადვოკატო პრაქტიკა, კომპანიები და სხვ.).

IV.ადგილზე გადამზადება

31. უდავოა, რომ თავიანთი მოვალეობების შესრულების დაწყებამდე მოსამართლეებმა აუცილებლად უნდა შეიძინონ ცოდნის ფუნდამენტური ბაზა, მოსამართლეები ”განწირულები არიან მარადიული სწავლისა და მეცადინეობისთვის” (იხ. რ. იანსენის ანგარიში ”როგორ მოვამზადოთ მოსამართლეები მაღალკვალიფიციურ მოსამართლეებად 2003 წელს”, doc. CCJEGT(2003) 3).

32. ამგვარი ტრენინგი აუცილებელია არა მხოლოდ კანონში განხორციელებული ცვლილებების და სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ცოდნის შეძენის გამო, არამედ იმის გამოც, რომ ბევრ ქვეყანაში მოსამართლეებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ახალ ვალდებულებებს, რომლებიც ახალ თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ დაეკისრებათ. აქედან გამომდინარე, ადგილზე გადამზადების პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ტრენინგის შესაძლებლობას კარიერაში ცვლილების დროს, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეებიდან სამოქალაქო საქმეების სასამართლოში გადასვლა; ან სპეციალიზებულ სამართალში გადამზადება (მაგ., საოჯახო, არასრულწლოვანთა ან საზოგადოებრივი საქმეების სასამართლო) ან, მაგალითად, სასამართლოს ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე გადასვლა. ამგვარი გადაადგილება და ასეთი ვალდებულების აღება შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის პირობით.

33. არსებითად მნიშვნელოვანია ადგილზე გადამზადების კურსების ორგანიზება, ვინაიდან საზოგადოებას უფლება აქვს ჰყავდეს მაღალ დონეზე მომზადებული მოსამართლეები და, ასევე, სასამართლო ხელისუფლებაში ტრენინგის კულტურის დანერგვაცაა აუცილებელი.

34. არარეალურია, რომ ადგილზე გადამზადების ყველა კურსი სავალდებულო იყოს ყველა შემთხვევაში, რათა ის არ გახდეს ბიუროკრატიული და, უბრალოდ, ფორმალური სახე არ მიიღოს. კონკრეტული ტრენინგი უნდა იყოს საკმაოდ მიმზიდველი იმისათვის, რომ მოსამართლეებმა მიიღონ მასში მონაწილეობა. ვინაიდან ნებაყოფლობითი მონაწილეობა ტრენინგის ეფექტიანობის საუკეთესო გარანტიაა, ამის ხელშეწყობა უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფით, რომ თითოეული მოსამართლე აცნობიერებდეს ეთიკურ მოვალეობას თავისი ცოდნის განახლებისა და განვითარების თვალსაზრისით.

35. უწყვეტი სასწავლო პროცესის კონტექსტში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა იმ სხვა სამართლებრივ პროფესიულ ორგანოებთან თანამშრომლობა, რომლებსაც ევალებათ უწყვეტი სწავლება საერთო ინტერესის თემებზე (მაგ., ახალი კანონმდებლობა).

36. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მყარი რეკომენდაციაა, რომ უწყვეტი სამოსამართლო სწავლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო ხელისუფლების ყველა დონისთვის. შესაძლებლობის ფარგლებში, ერთსა და იმავე ლექციაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ სასამართლო სისტემის სხვადასხვა დონის წარმომადგენლები, რაც იძლევა მათ შორის აზრების გაზიარების საშუალებას. აღნიშნული ხელს უწყობს იერარქიული ტენდენციების მოშლას, სასამართლო ხელისუფლების ყველა დონეზე ერთმანეთის პრობლემებისა და სირთულეების გაცნობას, და უზრუნველყოფს უფრო მოქნილ და თანმიმდევრულ მიდგომას მთელ სისტემაში.

37. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

i. ადგილზე ჩატარდეს გადამზადების კურსები, რომლებიც ჩვეულებრივ უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლეთა ნებაყოფლობით მონაწილეობას;
ii. ადგილზე გადამზადების სავალდებულო კურსები შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; ამის მაგალითები შეიძლება იყოს (თუ კომპეტენტური სასამართლო ან სხვა ორგანო ასე გადაწყვეტს) მოსამართლის დანიშვნა ახალ თანამდებობაზე

ან სხვა ტიპის სამუშაოს შესრულება, ან სხვა ტიპის ფუნქციების მინიჭება, ან კანონმდებლობაში ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებების შეტანა;
iii. სასწავლო პროგრამების შემუშავება უნდა ხდებოდეს სასამართლო ან სხვა ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც პასუხისმგებელია პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების სასწავლო კურსების ჩატარებაზე და თვითონ ტრენერებისა და მოსამართლეების მიერ;
iv. პროგრამები, რომლებიც ხორციელდება იმავე ორგანოში ორიენტირებული უნდა იყოს სამართლებრივ და სხვა საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება მოსამართლეების მიერ შესრულებულ ფუნქციებს და აკმაყოფილებდეს მათ საჭიროებებს (იხ. ზემოთ პუნქტი 27);
v. თვითონ სასამართლოებმა უნდა წაახალისონ თავიანთი წევრები, რომ მათ გაიარონ ადგილზე გადამზადების კურსები;
vi. პროგრამები უნდა დაინერგოს და ხელი შეუწყოს ისეთ გარემოს, სადაც სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსა და დონის წარმომადგენლები შეძლებენ ერთმანეთთან შეხვედრას და გამოცდილებისა და აზრების გაზიარებას;
vii. მართალია ტრენინგი მოსამართლეების ეთიკური მოვალეობაა, წევრ სახელმწიფოებსაც ეკისრებათ ის მოვალეობა, რომ მოსამართლეები უზრუნველყონ ფინანსური რესურსებით, დროითა და სხვა საშუალებებით, რაც აუცილებელია ადგილზე გადამზადებისთვის.

V. ტრენინგების შეფასება

38. მოსამართლეთა ტრენინგის ხარისხის მუდმივად გაუმჯობესების მიზნით, ტრენინგზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ სასწავლო პროგრამების და მეთოდების სისტემატური შეფასება. ამ პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტრენინგში მონაწილე პირების მიერ გამოთქმული შეხედულებები, რომელთა შეგროვება შესაძლებელია არსებული სპეციალური საშუალებებით (კითხვარებზე გაცემული პასუხები, ინტერვიუები).

39. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ტრენერების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სამოსამართლო ტრენინგებში მონაწილეთა შედეგიანობის შეფასება. მოსამართლეების ადგილზე გადამზადების კურსები შესაძლოა იყოს ძალიან ნაყოფიერი, თუ მათი ინტერაქტიული მონაწილეობა არ არის განპირობებული კარიერული განზრახვებით.

40. ქვეყნებში, სადაც ხორციელდება მოსამართლეთა ტრენინგი მათი პროფესიული კარიერის საწყის ეტაპზე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხედველობაში იღებს პირველადი სწავლების შედეგებს, რომელიც აუცილებელია სასამართლო სისტემაში კადრების აყვანისას საუკეთესო გადაწყვეტილებების მისაღებად. ხოლო ქვეყნებში, სადაც მოსამართლეების დანიშვნა ხდება გამოცდილი იურისტების რიგებიდან, გამოიყენება ობიექტური შეფასების მეთოდები და მხოლოდ შერჩევის შემდეგ ხდება მათი სწავლება, აქედან გამომდინარე, ასეთ ქვეყნებში შეფასება სწავლების საწყის ეტაპზე მიუღებელია.

41. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კანდიდატებს ჰქონდეთ სამართლებრივი გარანტიის შეგრძნება, რომელიც მათი მუშაობის შეფასებისას დაიცავს მათ მიკერძოებულობისგან. ამასთანავე, იმ ქვეყნების შემთხვევაში, სადაც მოსამართლეებს დროებით ნიშნავენ, სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ მათი თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა მოხდეს იმ გარანტიების სათანადო გათვალისწინებით, რომლებიც ვრცელდება მოსამართლეებზე, როდესაც მათი თანამდებობიდან გათავისუფლება არის დაგეგმილი.

42. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა:

i. სისტემატურად მოხდეს სასწავლო პროგრამების და მეთოდების შეფასება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამოსამართლო სწავლებებზე;
ii. პრინციპში, მოსამართლეთა სწავლების ინიციატივებში მონაწილეობა არ უნდა იყოს ხარისხობრივი შეფასების საგანი; თავისთავად მათი მონაწილეობა ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული, თუმცა შესაძლებელია ამის გათვალისწინება მოსამართლეთა პროფესიული შეფასების დროს;
iii. ამის მიუხედავად, უნდა შეფასდეს მომზადებულ მოსამართლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, თუ ასეთი შეფასება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზოგიერთ სისტემაში საწყისი სწავლება კანდიდატთა შერჩევის ეტაპს წარმოადგენს.

VI. მოსამართლეთა ევროპული ტრენინგი

43. რა ტიპისაც არ უნდა იყოს მათი მოვალეობები, არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლია უგულებელყოს ევროპული სამართალი, ეს იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, თუ ევროპის საბჭოს სხვა კონვენციები ან, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე კანონმდებლობა, ვინაიდან მოსამართლეებს მოეთხოვებათ აღნიშნული დოკუმენტების პირდაპირ გამოყენება მათ მიერ განსახილველ საქმეებში.

44. მოსამართლეთა მოვალეობების ამ მნიშვნელოვანი ასპექტის ხელშესაწყობად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ უნივერსიტეტებში ევროპული სამართლის სწავლების გაძლიერების შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა ეს საგანი მოსამართლეებისათვის განკუთვნილ პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების სასწავლო პროგრამებშიც უნდა შეიტანონ, და აქცენტი გააკეთონ მის პრაქტიკულ გამოყენებაზე ყოველდღიურ მუშაობაში.

45. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, გაძლიერდეს მოსამართლეთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირთა და ორგანოთა შორის ინფორმაციის გაცვლის ევროპული ქსელი (ლისაბონის ქსელი), რომელიც ხელს უწყობს საერთო ინტერესის საკითხებზე და შედარებითი სამართლის თემაზე სწავლებას, და რომ ეს ტრენინგი განკუთვნილი იყოს როგორც ტრენერებისთვის, ისე თვითონ მოსამართლეებისთვისაც. ამ ქსელის მუშაობა ეფექტიანი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი წევრი სახელმწიფო მხარს დაუჭერს მას და შექმნის ისეთ ორგანოს, რომელსაც დაევალება მოსამართლეთა სწავლება, ზემოთ მე-2 ქვეთავში გადმოცემული მოსაზრების თანახმად და გამოიყენებს პანევროპულ თანამშრომლობას ამ სფეროში.

46. გარდა ამისა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ სხვა ინიციატივებს შორის თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპაში არსებული სამოსამართლო სწავლების დაწესებულებათა გაერთიანებას, კერძოდ კი, ევროპული სამოსამართლო სწავლების ქსელის ფარგლებში, ეფექტურად შეუწყობს ხელს მთელ კონტინენტზე მოსამართლეთა სწავლების პროგრამებისა და მეთოდების უკეთეს კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას.